საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო

ბრძანება № 2-411

ქ. თბილისი 2 ოქტომბერი 97

სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის თაობაზე შემოსული წინადადებების განმხილველი კომისიის 1997 წლის 27 ნოემბრის სხდომის შედეგების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 13 ნოემბრის №717 დადგენილებით (თან ერთვის) სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან შეთანხმებით დაკმაყოფილდა ქ. თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენი გაერთიანების შრომითი კოლექტივის თხოვნა და მათ მიეცათ უფლება იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღლოთ გაერთიანების ბალანსზე რიცხული ქონება. შემდგომში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მოგვმართა თხოვნით აღნიშნულთან დაკავშირებით გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება (9.09.97წ. №04/106 წერილი თან ერთვის). სამინისტროში გაერთიანების ხელმძღვანელობასთან რამოდენიმე გზის შეხვედრის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე უმჯობესია იჯარა-გამოსყიდვით გაიცეს გაერთიანების ბალანსზე რიცხული არა მთელი, არამედ ნაწილი ქონება, რასაც ეთანხმება გაერთიანებაც (18.11.97წ. №64 წერილი თან ერთვის).

აღნიშნულზე იმსჯელა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის თაობაზე შემოსული წინადადებების განმხილველი კომისიამ, რომლის 1997 წლის 27 ნოემბრის სხდომის (ოქმი №22) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებული იქნას სამინისტროს სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის თაობაზე შემოსული წინადადებების განმხილველი კომისიის წინადადება (1997 წლის 27 ნოემბრის სხდომის ოქმი №22) და მიზანშეწონილად ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენი გაერთიანების ბალანსზე რიცხული ქონების (გარდა მაყურებლის ტრიბუნის, საშენებელი ჭრის, თავლების და ღია მანეჟის) პრივატიზება იჯარა-გამოსყიდვის წორმით (ოქმი თან ერთვის).

არქივი

58

2. საკონკურსო პირობებად განისაზღვროს მოიჯარის მიერ საწარმოს ქონების შენარჩუნება და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ობიექტების იჯარის უფლებით აღება იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფს მათ ბალანსა-პატრონობას და არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ მიმდინარე შეკეთებას.

3. აგრარული რეფორმების დეპარტამენტმა /გ. გორდეზიანი/ კომისიის დადგენილებისა და ამ ბრძანების შესასრულებლად მოამზადოს წერილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარსადგენად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

მინისტრი ბ. გულუა

მომზადა: აგრარული რეფორმების დეპარტამენტმა
შეთანხმებულია: გ. დიდბარიძე
გ. გორდეზიანი
რ. ნაჭყებია
შ. კიკალიშვილი
ი. ლომთათიძე
ქ. შენგელია

დაუგზავნოს: აგრარული რეფორმის დეპარტამენტს;
ადმინისტრაციულ დეპარტამენტს;
ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

საქართველოს მეურნეობის სამინისტრო
არქივი